

ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომის მიმართება  
შემოქმედებითობასა და მოხეტიალე გონებასთან

მარიამ ციქურიშვილი

*ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და  
ბელოვლების ფაკულტეტზე კლინიკური ფსიქოლოგის მაგისტრის აკადემიური  
ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

ნაშრომის ხელმძღვანელი: ნინო სხირტლაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

2019

## სარჩევი

აბრევიატურების ჩამონათვალი	3
აბსტრაქტი	4-5
შესავალი	5-6
მოხეტიალე გონება	6-10
კრეატიულობა	10-14
ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომი	14-15
მოხეტიალე გონება და ყურადღების დეფიციტი	16-18
ყურადღების დეფიციტი და კრეატიულობა	18-20
მოხეტიალე გონება და კრეატიულობა	20-21
წინამდებარე კვლევა	21
კვლევის მიზანი, კვლევის კითხვები	22
ჰიპოთეზები	22-23
მეთოდი	23
კვლევის მონაწილეები	24
პროცედურა	24
ინსტრუმენტი	24-26
მონაცემების სტატისტიკური დამუშავება	26
შედეგები	27
კორელაცია	27-28
ცხრილი N 1	28
ცხრილი N 2	29
ცხრილი N 3	30
ცხრილი N 4	30-32
შედეგების განხილვა	33-36
დასკვნა	36
კვლევის შეზღუდვები	36-37
სამომავლო კვლევითი მიმართულებები	38
რეკომენდაციები	38
გამოყენებული ლიტერატურა	39-42

აბრევიატურების ჩამონათვალი:

ADHD -Attention-Deficit/Hyperactivity Disorder- ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომი

MBI-Mindfulness based interventon- მაინდფულნესზე დაფუძნებული ინტერვენცია

## აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია, თუ როგორ მიმართებაშია ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომი მოხეტიალე გონებასა და შემოქმედებით აქტივობებსა და მიღწევებთან. კვლევების მონაცემები ურთიერთგანსხვავებულ შედეგებს გვთავაზობენ ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომის, მოხეტიალე გონებისა და კრეატიულობის კავშირის შესახებ. არ არის საკმარისად გამოკვლეული კავშირი მოხეტიალე გონებასა და შემოქმედებითობას შორის, კერძოდ, მათ კონკრეტულ სახეებს შორის მაგ. მოხეტიალე გონების ერთერთ ასპექტს პოზიტიურ-კონსტრუქციულ ოცნებასა და შემოქმედებით მიღწევას შორის და ა.შ. ასევე არ არის ერთგვაროვანი დამოკიდებულება მის ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის მიმართებასთან დაკავშირებით. წარმოდგენილ კვლევაში მონაწილეობა მიიღო 19-დან 52 წლამდე 57-მა 1ინდივიდმა ( $M=24$ .  $SD=7$ ), 41 (72%) მდედრობითი, 16 (28%) მამრობითი სქესის წარმომადგენელმა. გამოყენებულ იქნა სამი კითხვარი: შემოქმედებითი აქტივობებისა და შემოქმედებითი მიღწევების სკალა, წარმოსახვითი პროცესების საკვლევი ინსტრუმენტი, ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომის თვითანგარიშის სკალა ზრდასრულების მოცემულმა კვლევამ დაადასტურა, რომ არ არის კავშირი შემოქმედებითობასა და მოხეტიალე გონებას შორის, გარდა ამ უკანასკნელის ერთი ასპექტის, პოზიტიურ-კონსტრუქციული ოცნებისა, რომელიც საშუალო სიძლიერის დადებით კორელაციაშია კრეატიულ აქტივობებსა და მიღწევებთან. ასევე ემპირიული მონაცემების კორელაციურმა ანალიზმა არ გამოავლინა მნიშვნელოვანი კავშირი ყურადღების დეფიციტის/ჰიპერაქტივობის სინდრომსა და შემოქმედებით აქტივობებსა და მიღწევებს შორის.

## Abstract

The goal of the present study was to identify the relationship between mind wandering, attention-deficit/hyperactivity disorder and creative activities and achievements. Several studies show different results how mind wandering, attention-deficit/hyperactivity disorder

and creativity relate at each other. The connection between mind wandering and creativity is not enough examined. For example, how one of mind wandering aspect, positive-constructive daydreaming associated with creative activities and achievements. Also, the study results, which suggest relationship between attention-deficit/hyperactivity disorder and creativity are not consistent. In the study has recruited 57 participants 41 (72%) women and 16 (28%) men, aged between 19 and 52 years. Participants received three questionnaires, including: Inventory of creative activities and achievements (ICAA), The Short Imaginal Processes Inventory (SIPI), Adult ADHD Self-Report Scale (ASRS-v1.1). Results confirmed, that mind wandering does not associate with creativity. except one of the mind wandering aspect, positive-constructive daydreaming, which positively correlates with creative activities and achievements. Besides that, attention-deficit/hyperactivity disorder did not significantly associate with creative activities and achievements.

## შესავალი

წინამებარე კვლევა მიზნად ისახავს დაადგინოს მოხეტიალე გონების, შემოქმედებითი აქტივობების და მიღწევებისა და ყურადღების დეფიციტსა და ჰიპერაქტივობის სინდრომთან ურთიერთ მიმართება. აგრეთვე გადაამოწმოს უკვე არსებული კვლევების მონაცემები და დაადგინოს კონკრეტული კავშირები. ბოლო პერიოდში საკმაოდ გაიზარდა მოხეტიალე გონების შესწავლისადმი ინტერესი, განსაკუთრებით ნეიროფსიქოლოგიისა და კოგნიტური ფსიქოლოგიის წარმომადგენლების მხრიდან (Cosmelli, Grau, Ortiz, Preiss, 2016). მუდმივი სიფხიზლის გარეშე ჩვენს გონებას ხშირად შეუძლია იხეტიალოს ამჟამინდელი/მიმდინარე შეზღუდული ამოცანებიდან ჩვენი პირადი ფიქრებისა და გრძნობების მიმართულებით. მოხეტიალე გონება - მენტალური კონტროლის სისუსტეების ერთ-ერთი ყველაზე ინტორსპექციულად ხელმისაწვდომი მაგალითია (Mooneyham, Schooler, 2013). მრავალმა კვლევამ აჩვენა, რომ მოხეტიალე გონებას უარყოფითი გავლენა აქვს სხვადასხვა სახის კოგნიტურ აქტივობაზე (მაგ., კითხვა, მუშა მეხსიერება და ა.შ.). ის ასევე მჭიდროდაა დაკავშირებული ნეიროგანვითარების ისეთ დარღვევასთან, როგორცაა ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის